



# საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე

ქუთაისი 4600, ირაკლი აბაშიძის გამზირი № 26  
პარლამენტის სასახლე

## ბრძანება

N 319/3

16/11/2017

**„საქართველოს პარლამენტის აპარატის სტრუქტურისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2017 წლის 30 ივნისის №210/3 ბრძანებით დამტკიცებულ საქართველოს პარლამენტის აპარატის საჯარო მოსამსახურეთა სტრუქტურასა და საშტატო ნუსხაში ცვლილებების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 121-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 107-ე მუხლის „ლ“, „ჩ“, „ჰ“ ქვეპუნქტებისა და 278-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსის ნიკოლოზ ნათენაძის 2017 წლის 10 ნოემბრის №17958 წარდგინების საფუძველზე:

1. „საქართველოს პარლამენტის აპარატის სტრუქტურისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2017 წლის 30 ივნისის №210/3 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს პარლამენტის აპარატის საჯარო მოსამსახურეთა სტრუქტურისა და საშტატო ნუსხის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის:

ა) „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

”

ბ) მთავარი სპეციალისტი	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III (უფროსი სპეციალისტის დონე)	პროფესიული საჯარო მოხელე	3
------------------------	---------------------------------------	--------------------------------	--------------------------	---

“;

ბ) „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

”


დ) უფროსი სპეციალისტი	მე-3 კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III (უფროსი სპეციალისტის დონე)	პროფესიული საჯარო მოხელე	2
-----------------------	------------------------------------	--------------------------------	--------------------------	---

“.

2. ბრძანება ძალაში შედის საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საჯაროდ გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრამის ქ. №11).

ირაკლი კობახიძე

A handwritten signature in black ink, appearing to read 'I. Kobakhidze', written in a cursive style.